დანართი N1

**სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ხელმძღვანელი - პაატა გოგიაშვილი**

ა) ხელმძღვანელობს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს;

ბ) პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

გ) ამზადებს წინადადებებს მობილიზაციის, აღრიცხვისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის საკითხებზე;

დ) ამზადებს სამობილიზაციო რესურსის სრულყოფილ და ხარისხიან აღრიცხვას;

ე) ამზადებს სამხედრო სამსახურის სამობილიზაციო მზადყოფნას;

ვ) უზრუნველყოფს ახალგაზრდებთან პატრიოტულ-აღმზრდელობით მუშაობას;

ზ) აკონტროლებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქალაქეთა მიერ სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნათა შესრულებას;

თ) სამსახურის კომპეტენციის მიკუთვნებულ საკითხებზე მართავს თათბირებს და განახორციელებს სხვა ორგანიზაციული ღონისძიებებს;

ი) უზრუნველყოფს სამართალდამცავი ორგანოებისათვის მასალების გადაცემას, იმ მოქალაქეების შესახებ, რომლებიც არღვევენ სამხედრო აღრიცხვიანობას და გაწვევის წესებს;

კ) უზრუნველყოფს სამსახურებრივი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით მერის დავალებების შესრულებას.

დანართი N2

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მე - 3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ზურაბ გოგიაშვილი უზრუნველყოფს:

ა) წინადადებების მომზადებას სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ;

ბ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებით პროექტების მომზადებას და სამსახურის უფროსთან წარდგენას;

გ) 18-წლიდან 27-წლამდე ასაკის წვევამდელების პირადი საქმის აღრიცხვას და შესწავლას;

დ) მოქალაქეთა სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზებას;

ე) გაწვევის დაწყებამდე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა 18-დან 27-წლამდე წვევამდელების სახელობითი სიის დაწერას და სიის მიხედვით უწყებების დაწერას და დარიგებას:

ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქალაქეთა მიერ ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის დადგენილ მოთხოვნათა შესრულების კონტროლს;

ზ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტზე წარდგენას;

თ)უზრუნველყოფს გამწვევი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაწვევის ოქმში ასახვას და ანბანური წიგნების წარმოებას;

ი) სამართალდამცავ ორგანოებისათვის მასალების გადაცემას იმ მოქალაქეების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას;

კ) სამსახურებრივი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელი პირების დავალებების შესრულებას.

დანართი № 3

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მე - 3 რანგის მე - 3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მიხეილ ბარბაქაძე უზრუნველყოფს:

ა) სამობილიზაციო რესურსის (რეზერვის რიგითთა, კაპრალთა, სერჟანტთა) სრულყოფილ და ხარისხიან აღრიცხვას;

ბ) აქტიურ, ინდივიდუალურ და ეროვნული გვარდიის რეზერვისტთა შერჩევას;

გ) რეზერვისტთა სპეციალური აღრიცხვის დაჯავშნას;

დ) სამსახურებრივი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელი პირების დავალებების შესრულებას.

დანართი N 4

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მე - 3 რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ბეჟანი გოგიაშვილი უზრუნველყოფს:

ა) საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულ მოქალაქეთათვის პირადი საქმის შექმნას;

ბ) რეზერვისტის დროებითი მოწმობის გაცემას;

გ) დადგენილი ფორმებისა და ანგარიშების დროულ და ხარისხიან შედგენა - შევსებას შესაბამის ორგანოებში წარსადგენად;

დ) სამსახურებრივი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელი პირების დავალებების შესრულებას.

დანართი N 5

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მე - 3 რანგის მე - 3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ირაკლი ცხადაძე უზრუნველყოფს:

ა) ოფიცერთა პირადი საქმეების სარეგისტრაციო წიგნის წარმოებას;

ბ) ოფიცერთა პირადი საქმეების მოწესრიგებას;

გ) ოფიცერთა პირადი საქმეების შენახვას და დაცვას;

დ) ოფიცერთა პირადი საქმეების დახარისხებას და ასაკთან დაკავშირებით 50 - წლის შემდეგ არქივში შენახვას;

ე) თავდაცვის სამინისტროდან შემოსული მომართვების საფუძველზე ოფიცერთა პირადი საქმეების შექმნას 2 - ეგზემპლიარად და გადაგზავნას შესაბამის მისამართზე;

ვ) თავდაცვის სამინისტროდან შემოსული ბრძანების თანახმად ოფიცერთა წოდების მინიჭების დაფიქსირებას პირად საქმეში და სარეგისტრაციო წიგნში შეტანას;

ზ) სამსახურებრივი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელი პირების დავალებების შესრულებას.

დანართი N6

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მე-4 რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - ვახტანგ იამანიძე უზრუნველყოფს:

ა) სამობილიზაციო რეზერვში გაწვევასთან დაკავშირებით წინადადებებისა და პროექტების მომზადებას და სამსახურის უფროსთან წარდგენას;

ბ) 27-წლიდან 60-წლის ასაკის რეზერვში ჩარიცხული პირების პირადი საქმეების აღრიცხვას და შესწავლას;

გ) სამობილიზაციო რეზერვის გაწვევის დაწყებამდე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა 27-წლიდან 60-წლამდე რეზერვში ჩარიცხული ოფიცრების სიების შედგენას, არსებული დოკუმენტაციის მომზადებას და სხვა მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებას;

დ) მოქალაქეთა სამხედრო სამობილიზაციო რეზერვისათვის მომზადებას;

ე) სამსახურებრივი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელი პირების დავალებების შესრულებას.

დანართი N7

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მე - 3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მირზა მაგრაქველიძე უზრუნველყოფს:

ა) საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას;

ბ) ახალგაზრდობის სამხედრო სამსახურისათვის მომზადების პირველადი სამხედრო აღრიცხვის ორგანიზაციული ღონისძიებების შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას;

გ) მოქალაქეთა პირველადი აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას და სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზებას;

დ) ახალგაზრდებთან პატრიოტულ-აღმზრდელობით მუშაობას;

ე) 17 - წლის ასაკის ჭაბუკთა პირველად აღრიცხვას;

ვ) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებაში დაწყებითი სამხედრო მომზადების მიმდინარეობის კონტროლს;

ზ) აღრიცხვიანობის განყოფილებაში არსებული დოკუმენტაციის მომზადებას და სწორ წარმოებას, ანბანური, საოქმო წიგნების და სიების შედგენას;

თ) სამსახურებრივი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელი პირების დავალებების შესრულებას.

დანართი N 8

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მე - 3 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - შოთა რობაქიძე უზრუნველყოფს:

ა) მოქალაქეთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას;

ბ) წვევამდელი ასაკის მოქალაქეთა ზუსტ აღრიცხვას;

გ) მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გასაწვევად, მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულებას;

დ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ წვევამდელთა შემკრებ გამანაწილებელ პუნქტში წარდგენას;

ე) მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტის ელექტრონულ ბაზაში წვევამდელთა მონაცემების შეყვანას, მათი გაწვევის ან გადავადების შესახებ;

ვ) სამსახურებრივი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელი პირების დავალებების შესრულებას.

**დანართი N9**

**სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მე - 3 რანგის მე - 3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - გიორგი კირკიტაძე უზრუნველყოფს:**

ა) მოქალაქეთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას;

ბ) წვევამდელი ასაკის მოქალაქეთა ზუსტ აღრიცხვას;

გ) მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გასაწვევად, მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულებას;

დ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ წვევამდელთა შემკრებ გამანაწილებელ პუნქტში წარდგენას;

ე) გამწვევი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, გაფორმებას და გატარებას გაწვევის ოქმში;

ვ) ანბანური წიგნის წარმოებას, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადავადებების გაფორმებას;

ზ) სამსახურებრივი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელი პირების დავალებების შესრულებას.

დანართი № 10

**სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -მარინა მაკარიძე უზრუნველყოფს:**

ა) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში ყველა სახის შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარების აღრიცხვიანობას და შენახვას;

ბ) საიდუმლო საქმის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების მიღებას, წარმოებას, შენახვას და არსებული წესით დაცვას;

გ) სამხედრო სამსახურში შემავალი განყოფილებების მიერ აღრიცხული პირადი შემადგენლობების სიობრივი ნუსხის დადგენას, მომზადებას ბეჭვდითი ფორმით და გადაცემას შესაბამისი სამსახურებისათვის;

დ) აღრიცხვაზე აყვანისა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებით შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვას, შემდგომში სამსახურის უფროსთან წარსადგენად;

ე) სამხედრო სავალდებულო სამსახურში გასაწვევ ასაკთან მიღწეულ ჭაბუკთა პირველად აღრიცხვას და სამართალდამცავი ორგანოებისათვის მასალების გადაცემას იმ მოქალაქეების შესახებ, რომლებიც არღვევენ სამხედრო აღრიცხვიანობას;

ვ) პირველად აღრიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადებას და კანონის ფარგლებში შესაბამის ორგანოებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებაში გადაგზავნას.

ზ) აკონტროლებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქალაქეთა მიერ, საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, მოთხოვნათა შესრულებას;

თ) სამსახურებრივი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელი პირების დავალებების შესრულებას.